ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10

2011 წლის 31 მარტი

დაბა ასპინძა

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულება (დანართი №1).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 18 აგვისტოს №21 დადგენილება „ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;

3. დადგენილება ძალაში შევიდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ამოქმედდეს 2011 წლის პირველი აპრილიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ა. მელიქიძე

დანართი №1

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური

1. ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური (ტექსტში შემდგომ _ სამსახური) არის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავების, მუნიციპალური ქონების მართვის, მოსაკრებლების განსაზღვრისა და ამოღების ხელშეწყობას, ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადება-განხორციელების, სივრცითი მოწყობისა და ურბანული დაგეგმარების, მიწათმოწყობისა და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშეწყობას, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვასა და მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფას.

2. სამსახური საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, გამგეობის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება გამგეობის საშტატო ნუსხით.

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან_ განყოფილებისაგან.

2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილება;

ბ) მუნიციპალიტეტის საპროექტო, სივრცითი მოწყობისა და ურბანული დაგეგმარების ქვედანაყოფი;

გ) მუნიციპალიტეტის არქმშენინსპექციისა და სახარჯთაღრიცხვო მუშაობის ქვედანაყოფი;

დ) მიწათმოწყობის საკითხების ქვედანაყოფი;

ე) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და საქმისწარმოების ორგანიზების საკითხების ქვედანაყოფი.

ვ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვისა და წყალმომარაგებით უზრუნველყოფის საკითხების ქვედანაყოფი;

ზ) ბუნებრივი რესურსებისა და სოფლის მეურნეობის დარგის მართვის ქვედანაყოფი;

3. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი (სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება გამგეობის დებულების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტითა და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით. უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მისი დავალებით სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს სამსახურის ერთ-ერთი ქვედანაყოფის მოხელე.

4. სამსახურის განყოფილება (ქვედანაყოფი) შედგება განყოფილების (ქვედანაყოფის) უფროსისა და განყოფილების (ქვედანაყოფის) მოხელეებისაგან.

5. განყოფილების (ქვედანაყოფის) საქმიანობას წარმართავს განყოფილების (ქვედანაყოფის) უფროსი, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება გამგეობის დებულების და შესაბამის სამუშაოთა აღწერილობით. განყოფილების (ქვედანაყოფის) უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლება-მოვალეობებს სამსახურის უფროსის დავალებით ახორციელებს განყოფილების (ქვედანაყოფის) ერთ-ერთი მოხელე.

6. განყოფილების (ქვედანაყოფის) მოხელეების უფლება-მოვალეობები და ფუნქციები განისაზღვრება ამ დებულებით და შესაბამის სამუშაოთა აღწერილობებით.

7. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და სამსახურებრივი კარიერის გავლის წესები განისაზღვრება გამგეობის დებულებით, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავების, მუნიციპალური ქონების მართვის, მოსაკრებლების განსაზღვრისა და ამოღების ხელშეწყობას, ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადება-განხორციელების, სივრცითი მოწყობისა და ურბანული დაგეგმარების, მიწათმოწყობისა და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშეწყობას, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვისა და მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფას, კერძოდ:

ა) მუნიციპალური ქონების მართვის საკითხებში:

– მუნიციპალიტეტის ქონების მართვის მუნიციპალური პროგრამების მომზადებას;

– მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღრიცხვას, რეგისტრაციას, ინვენტარიზაციას, მის დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლს, ამორტიზებული ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებული პროექტების მომზადებას;

– მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქციების, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას;

– რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონების კატეგორიების განსაზღვრასა და შეცვლასთან დაკავშირებით;

– სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტისათვის გადაცემასთან დაკავშირებით წინადადებებისა და სათანადო დოკუმენტაციის მომზადება - გადაცემის პროცესის ორგანიზაციულ საკითხთა გადაწყვეტას;

– რეკომენდაციების შემუშავებას წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვის, მუნიციპალური ქონებით სარგებლობის წესებთან დაკავშირებით, ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით;

– გასასხვისებელი ქონების ნუსხის პროექტის, ქონების განკარგვების პროგრამების, პროექტებისა და დამტკიცებული პროგრამების შესრულების ანგარიშის შედგენას;

– ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდის ინსტრუქციების შემუშავებას, სადაო საკითხების მოგვარებაში ჩართვას.

ბ) მუნიციპალიტეტის საპროექტო სივრცითი მოწყობისა და ურბანული დაგეგმარების,

საკითხებში:

– წინადადების მომზადებას ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა-გაუქმების, მათი საზღვრების დადგენისა და შცვლის თაობაზე;

– მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის პოლიტიკის განსაზღვრას, სივრცით ტერიტორიულ და მიწათსარგებლობის დაგეგმვის თაობაზე კანონით დადგენილ დოკუმენტაციის დამუშავებას;

– სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების პროექტების მომზადებას;

– განაშენიანების გენერალური გეგმებისა და რეგულირების გეგმის შედგენას;

– მუნიციპალიტეტის უფლებრივი ზონირების, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების დაგეგმვას;

– მშენებლობაზე ნებართვების გაცემას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მშენებლობის პროექტების შეთანხმებას, მშენებლობისათვის არქიტექტურულ-გეგმავრებითი დავალების მომზადებას;

– მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების საკითხების გადაწყვეტის, სამშენებლო საქმიანობაზე საერთო ზედამხედველობის განხორციელებას;

– დასახლებათა ტერიტორიების კეთილმოწყობის დაგეგმვას, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, მათი განხორციელების კოორდინაციას;

გ) არქმშენინსპექციისა და სახარჯთაღრიცხვო მუშაობის საკითხებში:

– უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ფარგლებში არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობითი პროცესების მართვას;

– დასახლებების განვითარებისა და რეაბილიტაციის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების განხორციელების კოორდინაციას;

– ქალაქმშენებლობითი კადასტრის შედგენას და წარმოებას;

– საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება-განხილვასა და შეთანხმებას, მშენებლობადამთავრებული ობიექტების კანონმდებლობის ფარგლებში ექსპლუატაციაში მიღებას;

– სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებას;

– არასატენდერო მოცულობის მქონე ხარჯთაღრიცხვების მომზადებასა და შედგენას.

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვისა და წყალმომარაგებით უზრუნველყოფის საკითხებში:

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გარეგანათების, სანიაღვრე მეურნეობის, კომუნიკაციების რეაბილიტაციისა და განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, ამ პროგრამათა განხორციელების პროცესის მართვას;

– მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შენახვასა და მოვლა პატრონობას;

– წინადადებების მომზადებას მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების თაობაზე.

– საგზაო ნიშნების, გზაჯვარედინების, მარეგულირებელი შუქნიშნების მოწესრიგებას;

– დასახლებებში წყალმომარაგების, კანალიზაციის, სანიაღვრე ქსელების ფუნქციონირების ხელშეწყობას.

ე) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და საქმისწარმოების ორგანიზების საკითხებში:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენა და კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტებზე რეაგირებას;

– ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შევსება, წარმოება, მკაცრი აღრიცხვის ფორმების მომარაგების, გადაცემისა და დავების წესების მკაცრად დაცვას;

მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა განცხადებებისა და შუამდგომლობის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განხილვას, მოქალაქეთა პირად მიღებას;

– დადგენილი წესის მიხედვით კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სათანადო დოკუმენტაციის დროულად მომზადებასა და ზემდგომი პირების შექმნილ ვითარებაზე

ოპერატიულ ინფორმირებას.

ვ) მიწათმოწყობის საკითხებში:

– მუნიციპალური მიწათსარგებლობის დაგეგმვას, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის შედგენას, მიწის გამოყენების კონტროლსა და მიწათსარგებლობის წესების დაცვას;

– მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას;

– მიწის ძირითადი მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის საკითხის რეგულირებას;

– მიწის რესურსების მდგომარეობისა და მათი გამოყენების შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადებას სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას და ანალიზს;

– საპრივატიზებო მიწის ნაკვეთების ნუსხის მომზადებას;

– მიწის იჯარის და მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული გარიგებებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შექმნას.

ზ) ბუნებრივი რესურსებისა და სოფლის მეურნეობის დარგის მართვის საკითხებში:

– მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებისა და სოფლის მეურნეობის მართვის პროგრამების შემუშავებას, ამ პროგრამათა განხორციელების პროცესების მართვას;

– ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესების პროექტის შემუშავებას, გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და კოორდინაციას, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას;

– გარემოზე ზემოქმედების მქონე ობიექტების განლაგებას, სამრეწველო საწარმოების მშენებლობის პროექტების შეთანხმებას;

– ჩამდინარე წყლებისა და ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ჩაშვება-გაფრქვევის გამწმენდი ნაგებობების, დანადგარებისა და აპარატების ექსპლუატაციაზე კონტროლს;

– ბუნებრივი რესურსების მდგომარეობისა და ხარისხის შეფასების აღრიცხვას;

– სოფლის მეურნეობის შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

– სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად ნებადართული მინერალური სასუქების, პესტიციდებისა და სხვა პრეპარატების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების, წყლის, ჰაერის, მიწის დაცვის მოთხოვნათა შესრულების კონტროლს;

– სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებისაგან სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ (მეცხოველეობა, მემცენარეობა, მებაღეობა, მეთევზეობა და ა.შ.).

2. მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 4. სამსახურის საქმიანობის ორგანიზება

1. სამსახურის საქმიანობის ორგანიზებასა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 6. დებულების ძალაში შესვლა

დებულება ძალაშია მისი გამოქვეყნების დღიდან.